

UDC 72

SCOPUS CODE 1201

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-3-21-30>

კადრი, როგორც კოვიდის რეალობაში ურთიერთობის ენა

ნანა ჭრელაშვილი არქიტექტურის საფუძვლების და თეორიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68^ა
E-mail: chrelashvilinana@gmail.com

რეცენზენტები:

მ. დავითაია, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: m.davitaia@gtu.ge

ბ. თინიკაშვილი, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინი ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: b.tinikashvili@gtu.ge

ანოტაცია. სამყარო, 2019 წლის მიწურულს, მოულოდნელად, ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა. ვირუსთან (კოვიდ-19) თანაარსებობამ საფრთხე შეუქმნა ადამიანის ჯანმრთელობას და მის სულიერ, ფიზიკურ, სიცოცხლისთვის საჭირო ყველა მნიშვნელოვან კომპონენტს. რთული იქნება სფეროს დასახელება, რომელზეც ვირუსმა დამანგრეველი გავლენა არ იქონია.

ამ კუთხით არც არქიტექტურაა გამონაკლისი. კოვიდის ფარგლებში არქიტექტურამ სერიოზული ზიანი მიიღო სხვადასხვა მიმართულებით: განათლება მოექცა ჩაკეტილ სივრცეში, შეწყდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამები, ვიზიტორის გარეშე დარჩა არქიტექტურულად მნიშვნელოვანი ქალაქები და არქიტექტურული ძეგლები. გადაიდო ბიე-

ნალები, კონფერენციებმა შეიცვალა ფორმატი – ღია კომუნიკაცია ჩაანაცვლა დისტანციურმა. მკვლევარს, მეცნიერს, მოგზაურს გადაადგილებისთვის ჩაეკეტა ყველა ქვეყნის საზღვარი.

სამყაროში, სხვადასხვა სფეროში დაიწყო ახალ რეალობაზე მორგების გეგმის ძიება. არქიტექტურისთვის, როგორც მეცნიერების და ასევე ვიზუალური ხელოვნების კვლევის მეთოდებში, კოვიდთან დამშვიდობებამდე, საჭიროა, გავაძლიეროთ კარგად აპრობირებული, არაერთხელ ნაცადი და კვლევებში გამოყენებული მეთოდოლოგია – კადრი, როგორც ურთიერთობის ენა.

წარმოდგენილ თემაში, ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით, ეგვიპტის პირამიდების მაგალითზე, განვიხილეთ, არქიტექტურული კვლევის დროს, ფოტოფიქსაციის როლი.

საკვანძო სიტყვები: არქიტექტურა; კადრი; კო-

ვიდი; პირამიდები; ნილოსი.

შესავალი

სამყარო, 2019 წლის მიწურულს, მოულოდნელად, ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა. ვირუსთან (კოვიდ-19) თანაარსებობამ საფრთხე შეუქმნა ადამიანის ჯანმრთელობას და მის, სულიერ, ფიზიკურ, სიცოცხლისთვის საჭირო ყველა მნიშვნელოვან კომპონენტს. რთული იქნება სფეროს დასახელება, რომელზეც ვირუსმა დამანგრეველი გავლენა არ იქონია. ამ კუთხით, არც არქიტექტურაა გამონაკლისი. კოვიდის ფარგლებში:

- არქიტექტურამ შეწყვიტა ტურისტისთვის პირველი მასპინძლის ფუნქცია;
- ვიზიტორის გარეშე დარჩა არქიტექტურული ძეგლები, მუზეუმები, რაც ფუნქციის დაკარგვის გარდა, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სამომავლოდ მოვლა-პატრონობისთვის საჭირო ფინანსურ გარანტიებს;
- კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდა საერთაშორისო არქიტექტურული საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზება; არქიტექტურული ბიენალები, როგორც გამოცდილების, ცოდნის, ემოციის გაცვლის საუკეთესო შესაძლებლობა;
- თანამედროვე ადამიანს, მკვლევარს, მეცნიერს, მოგზაურს აევრძალა გადაადგილება და ჩაეკეტა ყველა ქვეყნის საზღვარი!

ძირითადი ნაწილი

სამყაროში, სხვადასხვა სფეროში დაიწყო ახალ რეალობაზე მორგების გეგმის მიება. ბუნებრივია, მოგზაურობის ჩანაცვლება შეუძლებელია, მაგრამ არსებობს ვირტუალური მოგზაურობის სხვადასხვა ფორმა. ერთ-ერთი ასეთი ფორმა, ინტერნეტსივრცეში კოვიდის გავრცელებისთანავე აქტიური გახდა – მუზეუმებში ონლაინმოგზაურობა. დღევანდელმა რეალობამ ახალი დატვირთვა შესძინა მოგზაურობის სხვადასხვა, უკვე ნაცად ფორმებს:

- ქვეყნის ხელოვნების, ისტორიის, რელიგიის, არქიტექტურის ისტორიულ წყაროებს;
- ხელოვნების ნიმუშებს (ფერწერა, ქანდაკება, არქიტექტურა);
- დოკუმენტურ კინოს;
- გეოგრაფიულ სისტემებს - Google Map და Google Earth;
- ფოტოკადრს.

დღეს ჩვენ ვიმსჯელებთ, ფოტოკადრებით ვირტუალური მოგზაურობის ფორმაზე, როგორც არქიტექტურული კონცეფციის კვლევისა და სისტემური ანალიზისთვის მნიშვნელოვან კომპონენტზე. აღნიშნული მეთოდი კოვიდამდეც იყო მეცნიერული კვლევის ფორმა, მაგრამ კოვიდის რეალობაში, ჩვენი აზრით, უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა.

აღნიშნული მეთოდის საილუსტრაციოდ, მასალაში გამოვიყენეთ გერმანელი ფოტოგრაფების ერნსტ ჰანდროკის და რუდოლფ ლარნეტის 1900 წელს, კაიროში გადაღებული კადრები (სურ. 1, 2).



სურ. 1, 2 კაირო, 1900 წელი

ფოტოგრაფები: ერნსტ ჰანდროკი და რუდოლფ ლარნეტი

აღნიშნული ფოტოები, ერთგვარი ინსპირაციის წყარო გახდა, ეგვიპტის პირამიდების დისლოკაციის კონცეფციის კვლევისა და ანალიზისათვის, რა-

შიც აგრეთვე გამოვიყენეთ 21-ე საუკუნის ფოტოკადრები და აეროფოტოგადღების ფიქსაცია დინამიკაში.


ფოტოებზე ნათლად ჩანს, რომ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 1900 წელს, მსოფლიოში სიდიდით მეორე მდინარე ნილოსი, პირამიდებთან ახლოს მიედინებოდა.

ძალიან მალე რეალობა იცვლება და ნილოსი, რომელიც სავარაუდოდ, პირამიდების მდებარე-

ობის შერჩევისა და მისი მშენებლობისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, ხელოვნურად, დედაქალაქ კაიროს „გაზრდისა და განვითარების“ მიზნით, გადაიტანეს 8–9 კმ-ით (სურ. 3, 4)




სურ. 3. ფოტო 21-ე საუკუნის კაირო.
ნათლად ჩანს მანძილი ნილოსსა და პირამიდებს შორის



სურ. 4. აეროფოტო – 2020 წელი. ნაჩვენებია დღევანდელი მანძილი პირამიდებსა და მდინარე ნილოს შორის

ძველი ტოპოგრაფიული რუკების მოძიებამ, გვაჩვენა, რომ მდინარის გარდა, პირამიდების არქიტექტურული კონცეფციის ერთ-ერთი კომპონენტი

მოსახლეობისგან გამიჯვნა იყო. პირამიდები არ უნდა შერეოდა ქალაქის ბანალურ სივრცეს (სურ. 5).




სურ. 5. ტოპოგრაფიული რუკა – 1699 წელი

კითხვაზე, შენარჩუნდა თუ არა პირამიდების პირვანდელი კონცეფცია, პასუხს აეროფოტოგაღებების დინამიკაზე დაკვირვებაც გვაძლევს.


აეროფოტოზე (სურ. 6) ნათლად ჩანს, რომ 1972 წელს პირამიდები ორი ლანდშაფტის – მწვანე საფარისა და უდაბნოს გასაყარზე იდგა. მას შემდეგ

ძალიან სწრაფი ტემპით შეიცვალა რეალობა. კადრ-
ბი კარგად ასახავს თუ როგორ მოექცა თანამედროვე
სამყარო, ერთადერთ შემორჩენილ მსოფლიო საოც-
რებას – პირამიდებს. ქვემოთ მოყვანილი ილუსტ-


რაციები გვიჩვენებს, დროის დინამიკაში – 1972–
2020 წლებში – როგორ იჭრება ქალაქი პირამიდების
სივრცეში და როგორ იცვლება მათ ირგვლივ ავთენ-
ტიური ლანდშაფტი (სურ. 7, 8).



სურ. 6. აეროფოტო – 1972 წელი



სურ. 7. აეროფოტო – 1987 წელი



სურ. 8. აეროფოტო – 2020 წელი

ქვემოთ მოყვანილ კადრებში კარგად ჩანს, თუ ბი – ფონი თანამედროვე ქალაქის უსუსური-აგრე-
როგორ ხდება მთავარი პერსონალები – პირამიდე- სიული განაშენიანებისათვის (სურ. 9, 10, 11).



სურ. 9. Google Earth, 2020 წელი



სურ. 10. Google Earth, 2020 წელი



სურ. 11. Google Earth, 2020 წელი

ფოტოკადრებით კვლევამ და ანალიზმა დაადასტურა, რომ პირამიდების პირვანდელი არქიტექტურული კონცეფცია დარღვეულია, რაც გამოწვეულია კადრებზე ასახული შემდეგი გარემოებებით:

1. შეცვლილია მდინარის კალაპოტი;
2. დარღვეულია მიჯნა ქალაქსა და პირამიდებს შორის;
3. დედაქალაქის გაშენებით განადგურებულია ბუნებრივი ლანდშაფტი;

4. უსაზღვრო სივრცის ნაცვლად პირამიდები სამი მხრიდან იქცა ქალაქის „პატიმრად“ და შეუერთდა ქალაქის ბანალურ სივრცეს.

დასკვნა

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ობიექტური რეალობა, რომ ფოტოფიქსაცია არის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი საფუძველი. ჩვენ, თითქოს,

ახალს არაფერს ვამბობთ, მაგრამ კოვიდის რეალობამ ეს აქსიომა სხვა რაკურსში დააყენა.

დიახ, ადამიანი როგორც პერსონა, მოექცა თამაშარე პოზიციაში და მისი ქცევა, როგორც მკვლევრისა, ვიზიტორისა და პასიურ მნახველთან ერთად – ერთ სივრცეში, ერთ გარსში შეიყურსა. ეს კი ჩვენი აზრით, შეიძლება გახდეს კვლევის ახალი ფორმით დაწყების ეტაპი, რაც მომავალში ბევრ კითხვას და

პრობლემას გააჩენს. ობიექტის უშუალოდ ნახვის გარეშე, მეცნიერის მიერ გაკეთებული დასკვნები, შესაძლებელია, ილუზორულ ხასიათს ატარებდეს, ვინაიდან ობიექტის უკან ყოველთვის დგას ადამიანი თავისი ემოციებით, ხასიათითა და სუბიექტური ხედვით. კვლევა კი მეცნიერის უშუალო აღქმის გარეშე ანალიტიკას დატოვებს სუბიექტივიზმის სივრცეში.

ლიტერატურა

1. Lehnert, R.F. & Landrock, E.H. (2007). Imagining Egypt.

UDC 72

SCOPUS CODE 1201

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-3-21-30>

A Frame as the Language of Communication in Covid Reality

Nana Chrelashvili

Department of Architecture Basics and Theory, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68^a, M. Kostava str.

E-mail: chrelashvilinana@gmail.com

Reviewers:

M. Davitaia, Professor, Faculty of Architecture, Urban Planning and Design, GTU

E-mail: m.davitaia@gtu.ge

B. Tinikashvili, Professor, Faculty of Architecture, Urban Planning and Design, GTU

E-mail: b.tinikashvili@gtu.ge

Abstract. The world suddenly faced the new reality by the end of 2019. Coexistence with the virus (COVID-19) endangered the human wellbeing and his spiritual, physical and all other important components necessary to live. There is hardly found any sphere not affected by this virus.

The architecture is also not an exception in this viewpoint. COVID-19 damaged the architecture in different directions: education had become wrapped, the educational exchange programs were stopped, architecturally important cities and monuments remained without visitors. Biennials were postponed, the format of conferences were changed – the open communication was replaced by the distanced one. All international borders were closed for researchers, scientists and travelers.

The world started to find ways to live and survive in this different reality, the various spheres started to make new planning to fit the new reality. We think that for the architecture it is important to enhance already well-probed methodology – the frame as the communication language until we farewell with COVID-19. The methodology is widely used as in science as well in visual art.

In this scientific work we discuss the role of photography and aerial photography for systemic analysis of architect concept on the example of Egyptian pyramids by using the mentioned research methodology.

Keywords: architecture; Covid; frame; Nile; Pyramids.

განხილვის თარიღი 12.05.2022

შემოსვლის თარიღი 24.05.2022

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.09.2022